ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

დადგენილება N 31

21 დეკემბერი 2022 წელი

დ.ხარაგაული 56-00 9 აპრილის ქუჩა #15

„ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №19 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 17.07.2014 სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.128.016164).

1.შეტანილ იქნეს ცვლილება დადგენილების მე-2 მუხლში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„მუხლი 2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციულ ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოები

	რანგი	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო
1		მუნიციპალიტეტის მერი	5568.2
2		მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე	4235
3		მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე	3872
4	I	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა	2783
5	II	მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობა	2178
6	III	პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	1452
	III	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	1331

8	III	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	1089
9	IV	პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თანამდებობა	968
10	IV	მეორე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თანამდებობა	946
11	IV	მესამე კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის თანამდებობა	880
	ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირები		
1		მერის წარმომადგენელი	1650
2		მერის წარმომადგენლების ასისტენტი	880
3		ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენლების კოორდინაციის განყოფილების დამხმარე მოსამსახურე საღანძილის ადმინისტრაციულ ერთეულში	880

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის პირველი იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**